საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1130

25/11/2019

ქ. თბილისი

სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, სოფ. ველისციხიდან სოფ. კაკაბეთამდე (ცენტრალური მაგისტრალიდან სოფ. ჭერემის გავლით) გზის რეკონსტრუქციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, სოფ. ველისციხიდან სოფ. კაკაბეთამდე (ცენტრალური მაგისტრალიდან სოფ. ჭერემის გავლით) გზის რეკონსტრუქციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N116 (18.11.2019);
2. სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N116 (18.11.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი